ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6742825

ნომერი: AR1998591

თარიღი : 02.11.2023

გაცემის თარიღი : 03.11.2023

გაცნობის თარიღი : 07.11.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი N27/ ქუჩა ანტონ კათალიკოსი N15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რეზა შაჰველაიათი პ/ნ 01970000115
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის III კვარტალი, კორპუსი 10, ბინა 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2023 წლის 02 ნოემბრის AR1995891 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N27/ანტონ კათალიკოსის ქ. N15-ში არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N27/ანტონ კათალიკოსის ქ. N15-ში არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.
აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.
აღნშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება;
ამასთანავე გაცნობებთ, რომ არ არის მისაღები კონსოლური სარეკლამო აბრის მოწყობა.
დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. არ არის წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შემადგენლობით:
- განმარტებითი ბარათი, სამუშაოების აღწერით, ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;
- გეგმა, ჭრილი, ფასადი - არსებული, საპროექტო;
- ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი იქნეს ნიშნულები;
- ჩასატარებელი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;
- განიმარტოს სამუშაოები ეხება თუ არა ინტერიერს და საჭიროების შემხვევაში ასახული იქნეს საპროექტო დოკუმენტაციაში;
2. წარმოდგენილი იქნეს ვიტრაჟის თავზე არსებული ხის კონსტრუქციის კანონიერების დამდგენი დოკუმენტი;
3....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი :
- დამატებით წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები შორი ხედიდან;
- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები ეხება ინტერიერს, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები;
4. ..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :
- დამატებით წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟი შორი ხედიდან;
- ფოტომონტაჟზე სრულად იქნეს დატანილი ფერის კოდები;
- იმ შემხვევაშუ, თუ სამუშაოები ეხება ინტერიერს, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი ფოტომონტაჟები;
5. წარმოდგენილ იქნეს შპს"ვოკ ფაიერის" ხელმაძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განცხადებელზე გაცემული მინდობილობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.